



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №17

2014 წლის 28 მარტი

ქ. ლანჩხუთი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულების ლანჩხუთის სამხატვრო სკოლის“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი კარის მეორე თავის შესაბამისად

მუხლი 1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულების ლანჩხუთის სამხატვრო სკოლის“ წესდებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული წესდების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სამხატვრო სკოლის იურიდიული მისამართია: ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N52“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი